

## "სიბიით სვაკულაცია დასრულდა"

ბაბა ლაქიაშვილი

სიების დაზუსტების კომისიამ "კარდაკარის" შედეგები საჯარო გახადა. სახელმწიფო უწყებამ მონაცემების პრეზენტაცია პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორისთვის გამართა. მიუხედავად იმისა, რომ კომისიამ ძირითადი საქმიანობა - პროექტი "კარდაკარი" - დაასრულა, მუშაობას ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს. თუმცა ამჯერად რეგისტრაციის ალარ მივა ოჯახში სიის გადასამოწმებლად, ახლა უკვე თავად მოქალაქეს შეუძლია, კომისიას შესწორებების მოთხოვნით მიმართოს.



ბაბრძილაძე  
ბა-3 ბავრძაძე

## რუსეთი დნესტრისპირეთს მოლდავეთისკენ უბიძგებს?

ივა შილაკაძე

რუსეთი ფორმალურად ყოველთვის აღიარებდა დნესტრისპირეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკას მოლდავეთის ნაწილად, მაგრამ 20 წლის განმავლობაში ამ ქვეყნის მალჩინოსანმა ეს პირველად განაცხადა ლიდ ტირასპოლში, თან სეპარატისტული რეგიონის ხელმძღვანელების თანდასწრებით.



არაღიარებული დნესტრისპირეთის მოლდავეური რესპუბლიკის მთავარ ქალაქ ტირასპოლში ნინა კვირის ბოლოს გაიმართა კონფერენცია - "სამშვიდობო ოპერაცია დნესტრზე თანამედროვეობის გეოპოლიტიკური გამოწვევების კონტექსტში".

ბაბრძილაძე  
ბა-4 ბავრძაძე

## სოტა რამ კინოს მოედნის პროექტსა და ქართულ კინემატოგრაფიაზე

პაატა იაქაშვილი  
კინომცოდნე

ქართული კინოს "მამებმა" ანუ იმით, ვინც დაუშვებლად დიდი ხნის მანძილზე ედგა და უდგას სათავეში კინოკულტურულ ინსტიტუციებს და ვისი ავტორიტეტიც, ჩანასახშივე ახშობდა და ახშობს მათი არაადეკვატური ქმედებებისადმი გამოვლენილ კრიტიკულ დამოკიდებულებას, თავიანთი "აქტიუ-

რობითა" და ურთიერთდაპირისპირებით, მიაღწიეს საქართველოში არსებული კინოსტრუქტურების გაპარტახებას. ამიტომ, ჩვენი კინოსათვის უდიდეს საფრთხედ მიმაჩნია ქართული კინოს "მამათა" არსებობა და გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ კინოს "მამობის" პრეტენდენტების გამოჩენამ შემაშფოთა... საქმე ის გახლავთ, რომ ამ ცოტა ხნის წინ ყური მოვკარი ბამბის რიგში კინოს მოედნის

გახსნას აპირებენო... გავვოცდი - რა უნდა კინოს მოედანს ბამბის რიგში? ეს ადგილი გარკვეული სოციალური ფუნქციის მქონე გახლდათ და ჯერ კიდევ მეოთხედი საუკუნის წინ აქ საამქრო იყო, სადაც ბამბა მიჰქონდათ დასაპენტად, სახელწოდებაც შესაფერისი აქვს - ბამბასთან არის დაკავშირებული და არა კინემატოგრაფთან...

ბაბრძილაძე  
ბა-5 ბავრძაძე

## ერთი უცდომის ფასი

ქახა ფარაშვილი  
ლონდონიდან

გუშინდელი დღე საქართველოს ნაკრებისთვის ოქროსი არ ყოფილა. "ექსცელ არენაზე" ძიუდოსტები 81 კგ. წონით კატეგორიაში ათამაშებდნენ მედლებს. ბოლო ათ-

ნლეულია, რაც ამ ნონით კატეგორიაში ძალიან გვიჭირს. ლონდონში ჩვენი ქვეყნის ღირსებას ამჯერად ავთანდილ ჭრიკიშვილი იცავდა. საერთო შეფასებით, ჭრიკიშვილი კარგად იყო მომზადებული და მისგან წარმატებას ელოდნენ. ყოველ შემთხვევაში, კენჭისყრა ისე წარიმარ-

თა, რომ ავთანდილს მეოთხედფინალამდე, რეიტინგის მიხედვით, სერიოზული მეტოქე არ ჰყავდა. ჭრიკიშვილმაც კარგად დაიწყო ტურნირი. პირველ წრეში ხორვატი მეტოქე დაამარცხა.

ბაბრძილაძე  
ბა-6 ბავრძაძე



1 აშშ დოლარი	1.6476 ლ
1 ევრო	2.2056 ლ
1 ინგლისური გირვანქა	2.8029 ლ
1 თურქული ლირა	0.9351 ლ
100 რუსული რუბლი	5.5948 ლ

თბილისი	11°C - 2°C
ქუთაისი	6°C - 3°C
თელავი	7°C - 1°C
ზუგდიდი	6°C - 3°C
ბათუმი	9°C - 5°C

ნავთობი	3.30	+0.01	+0.36%
გაზი	2.54	-0.08	-3.19%
ოქრო	1,774.80	-11.50	-0.65%
ხორბალი	641.00	+0.25	+0.04%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე [www.24saati.ge](http://www.24saati.ge) ჩვენი პარტნიორები:



წევნი ვაჭრობით ერთმანეთს



ISSN 1987 9121



9177198719121001

## მეგობრისთვის რას არ ჩაიდენ

ქახა ფარაშვილი  
ლონდონიდან

კალაბურთი ოლიმპიადის მშენებელია. ამ ტურნირს აუცილებლად უნდა დაესწრო. თუ არ დაესწრები, ჩათვლავ, რომ ოლიმპიადაზე არ ყოფილხარ. ეს არის ტურნირი, სადაც მსოფლიო კალაბურთის ელიტა იყრის თავს და ად-

გილი, სადაც ადამიანები დაფრინავენ. ლებრონ ჯეიმსი შეეცდებოდა დაუბლი შეასრულოს, პო გასოლს კი პეკინისთვის რევაში სწყურია. პო ამბობს, რომ პეკინში არ გაუმართლა. რას გულისხმობს, ძნელი სათქმელია, მაგრამ "ლეიკერსის" ცენტრი არ მალავს თავისი გუნდის ამბიციებს.

ბაბრძილაძე  
ბა-6 ბავრძაძე



## ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი

24 საათი Weekend



4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!

ექსკლუზიურად „24 საათის“ და „Weekend“-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნებზე „საქართველოს ფოსტის“ პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

ყვავი ცალიწინდა ოინგაზოგს	5.90	4.90
ჰარი პოტერი და საიღუმლო ოთახი	9.00	4.00
ფალიაშვილის ქუჩის ქაღალაძი	6.90	3.00
ქართველები ამერიკაში	17.90	11.90
კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი	15.90	11.00

### ქართული ოცნება გამოძიების დანყებას ითხოვს

კოალიცია "ქართული ოცნების" წარმომადგენლებმა ეკა ბესელიამ და თეა წულუკიანიმა 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებისას ნაძალადევის რაიონში "კენჭისყრის შედეგების გაყალბების ფაქტზე მთავარ პროკურატურაში საჩივარი შეიტანეს.

ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნოს ცნობით, კოალიციის წევრები "ნაციონალური მოძრაობის" ყოფილი კოორდინატორის მიერ ერთ-ერთ სატელევიზო არხზე გაკეთებული განცხადების გამოძიებას ითხოვენ. მათი თქმით, ამ ქალბატონმა არჩევნების გაყალბების ის სქემა გამოფრა, რომელსაც "ნაციონალური მოძრაობა" 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებზე აქტიურად იყენებდა. კოალიციის წარმომადგენელთა მოსაზრებით, ეს სარჩელი მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მმართველმა გუნდმა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ველარ შეძლოს მსგავსი სქემებით მანიპულირება.

"დღეს მთავარ პროკურორს მივმართეთ საჩივრით, დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა არჩევნების გაყალბების ფაქტზე, რომელიც ნაძალადევის მაჟორიტარულ ოლქში 2008 წლის მაისში მოხდა. ამ გაყალბების შესახებ ჩვენ მივიღეთ ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მასალა სულ ცოტა ხნის წინ, როდესაც ტელეკომპანია "მავსტროს" ეთერში გავიდა გადაცემა, სადაც "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი კოორდინატორი, ქალბატონი ნიკლაური საუბრობდა არჩევნების გაყალბების მეთოდებზე და კონკრეტულად "ნაციონალური მოძრაობის" დეპუტატ სამადაშვილის მიერ არჩევნების რადიონიშნულ უბანზე გაყალბების ფაქტზე," - განაცხადა ბესელიამ.

ცნობისათვის: შალვა რამიშვილის გადაცემაში "აკრედიტაციის გარეშე" "ნაციონალური მოძრაობის" ყოფილმა კოორდინატორმა რუსუდან ნიკლაურმა "ნაციონალური მოძრაობის" მხრიდან არჩევნების გაყალბების მექანიზმებზე ისაუბრა. კერძოდ, მისი თქმით, კოორდინატორები სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულ პირებს გარკვეული რაოდენობის ხმების მიტანას ავალუბდნენ და შემდგომ იმის შემონეშვასაც ახერხებდნენ, რომ მან და მისმა მიყვანილმა ხალხმა ნამდვილად მისცა თუ არა ხმა.

### ძვირფასო მკითხველო



7 წლის ლუკა წულეისკირს, რომელიც დაავადებულია მწვავე ლიმფოიდური ლეიკემიით და ამჟამად გადის მკურნალობას ინტენსიური ქიმიოთერაპიის კურსით გერმანიაში, ქალაქ ფრაიბურგის საუნივერსიტეტო ბავშვთა კლინიკაში აუცილებლად ესაჭიროება ძვლის ტვინის ლეროვანი უჯრედების გადანერგვის გადაუდებელი ოპერაცია.

გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ პატარა ლუკას მდგომარეობა, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შესაძლებლობის ფარგლებში, ნებისმიერი ოდენობის (მცირეოდენი) შენატანებით დაგვეხმართოთ ოპერაციისთვის საჭირო თანხების შეგროვებაში.

**საბანკო რეკვიზიტები:**  
ბანკის კოდი: **KSBGGE22**  
ბანკის დასახელება: **კორ-სტანდარტ ბანკი**  
ანგარიში: **GE19KS000000360800511**  
მიმღები: **ა(ა)იპ ლუკა წულეისკირის დახმარების ფონდი**

ასევე შესაძლებელია ჩარიცხვა განხორციელდეს ნებისმიერი მობილური ოპერატორის მეშვეობით (1 ზარის ღირებულებაა 1 ლარი) შემდეგ ნომერზე:

**0 901 500 552**

წინასწარ გიხდით დიდ მადლობას თქვენი თანადგომისა და დახმარებისთვის.

**სააქციო საზოგადოებების საყურადღებო!**  
ლიცენზირებული რეგისტრატორი **სს „კავკასრესტრი“**  
გთავაზობთ ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების მაღალკვალიფიციურ მომსახურებას. **მომსახურების საფასური 17 ლარიდან.**  
თბილისი, მოსაშვილის ქ. №11 (ვაკის პარკთან) მე-2 სართ. ტელ : 222-07-18; 222-07-49; ფაქსი: 225-18-76  
ვებ-საიტი: [www.kavkasrestri.ge](http://www.kavkasrestri.ge) ელ.ფოსტა: [kavkasrestri@gse.ge](mailto:kavkasrestri@gse.ge)

## ავტოკატასტროფა ავტომობილურა

ერთ-ერთ საავადმყოფოში მოთავსებული და მისი მდგომარეობა მძიმეა. რაც შეეხება დაღუპულის მცირეწლოვან შვილიშვილს, მას თირკმელი აქვს დაზიანებული, თუმცა მისი მდგომარეობა სტაბილურია. შვილს კი მსუბუქი სახის დაზიანებები აღენიშნება.

ავტოკატასტროფისას გარდაიცვალა «ოპელის» მძღოლი ალექსანდრე გვარამია, რომელიც გუშინ ზუგდიდში გადაასვენეს. ოჯახის ახლობლის გიორგი მირიანოვის თქმით, დაღუპულმა, ავარიის დროს, თავის არეში მიიღო მძიმე დაზიანება, რაც გარდაცვალების მიზეზი გახდა. მისი მეუღლე, ჯინა კარტოზია, ამჟამად თბილისში,

ავტომობილურაში მომხდარი ავარიისთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვიდეომასალა და განცხადება გაავრცელა.

**„ცენტრალური მაგისტრალის თბილისი-სენაკი-ლესელიძის 95-ე კილომეტრზე, 18:55 სთ-ზე მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა. გამოძიების ინფორმაციით, ავტომობილმა „ოპელ ასტრამ“, სახელმწიფო ნომრით DRD-837, გადაკვეთა ღერძულა ხაზი და შეეჯახა სა-**

ნინალმდეგ მიმართულ-ბით მოძრავ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ავტომობილს "შკოდა სკაუტს", სახელმწიფო ნომრით SSP-043. "ოპელ ასტრას" მძღოლი ადგილზე გარდაიცვალა. დაშავდა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სამი თანამშრომელი - ერთ-ერთი კრიტიკულ მდგომარეობაში," - ნათქვამია სამსახურის განცხადებაში.

ამასთან, როგორც სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურში აცხადებენ, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ავტომანქანა ავარიის მომენტში არ იყო კორტეჟის შემადგენლობაში, არ ახლდა დასაცავი პირი და მართო მოძრაობდა. "სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შე-

სახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, სახელმწიფო დაცვის ობიექტები არიან: საქართველოს პრეზიდენტი; საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე; საქართველოს პრემიერ-მინისტრი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე; საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი; ასევე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა ორგანოების ხელმძღვანელები; საქართველოში ვიზიტით მყოფი უცხო ქვეყნის სახელმწიფო მეთაური; საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი საარჩევნო კამპანიისა და არჩევნების პერიოდში.

## საპროტესტო აქციის ფონზე გადაღებული პროცესი

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ამომრჩევლის მოსყიდვაში ბრალდებულების მიხედვით მესხის, მიხეილ ამაშუკელის, გავა ამბროლაძის, ნინო ყურუაშა და კობა ჯაბუას სასამართლო პროცესი დილიდან ხმაურით დაიწყო, მაგრამ ცოტა ხანში, პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, გადაიღო.

გაუგებრობა სასამართლო სხდომაზე დასწრების მსურველთა დარბაზში შეშვებას მოჰყვა. მანდატურებმა პროცესზე ბრალდებულების ოჯახის მხოლოდ ხუთ-ხუთი წევრი შეუშვეს. შეზღუდვა კი დარბაზში ადგილების სიმცირით ახსნეს.

ამის გამო, პროცესზე ვერ მოხვედრილ ბრალდებულთა ახლობლებსა და მანდატურს შორის შელაპარაკება მოხდა. სასამართლო სხდომას ვერ დაესწრნენ ჟურნალისტებიც. "ვითხოვთ სამართლიან სასამართლოს", "სიმართლის დროა", "ოცნება არ იყიდება", "ჩვენ არ ვყიდულობთ ოცნებებს" და "ოცნებას ვერ დაგვიტყვევებთ" - ამ ლოზუნგებ-

ით და საპროტესტო აქციით სასამართლოს ეზოდან ბრალდებულებს მხარს უმაგრებდნენ "ქართული ოცნების" ახალგაზრდული ფრთის წარმომადგებლები. თუმცა, სასამართლო პროცესი რამდენიმე წუთში დასრულდა და, მოსამართლის გადაწყვეტილებით, შემდეგი სხდომა 21 აგვისტოს დაინიშნა.

## საქართველოს აზრზე, ისრაელსა და თურქეთზე ეკოლოგიური ეკონომიკა აქვს

საქართველო მსოფლიოს ყველაზე ეკოლოგიურად სუფთა (მწვანე) ეკონომიკების შორის 47-ე პოზიციაზეა და მოქცეულია ისეთი ქვეყნების შუაში, როგორც ურუგვაი და ავსტრალია, - ამ მონაცემებს RBC იელის და კოლუმბიის უნივერსიტეტის კვლევებზე დაყრდნობით აქვეყნებს.

რეიტინგში სულ 132 ქვეყანა მოხვდა. ლიდერები არიან შვეიცარია, ლატვია და ნორვეგია, ათეულში არიან - ლუქსემბურგი, კოსტა რიკა, საფრანგეთი, ავსტრია, იტალია, ბრიტანეთი და შვედეთი. აუტსაიდერებს შორის არიან უზბეკეთი, თურქმენეთი და ერაყი. პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან საქართველოზე უკეთესი მდგომარეობა აქვთ ლატვიას (მე-2), ლიტვას (მე-17), უარესი მდგომარეობა კი - ესტონეთს (54-ე), ბელარუსს (65-ე), სომხეთს (93-ე), ყირგიზეთს (101-ე), უკრაინას (102-ე), რუსეთს (106-ე), მოლდოვას (108-ე), აზერბაიჯანს (111-ე), ტაჯიკეთს

(121-ე), ყაზახეთს (129-ე), უზბეკეთს (130-ე), თურქმენეთს (131-ე); ალსანიშნავია, რომ საქართველოს უკან არიან ისეთი ქვეყნები, როგორც არის აშშ, ისრაელი და თურქეთი.

რეიტინგის ავტორების აზრით, 2000-2010 წლებში ეკოლოგიური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. გაუარესება აღინიშნა ესტონეთში, საუდის არაბეთში, ბოსნიაში, რუსეთში და ერაყში.

ეკოლოგიურად სუფთა ეკონომიკის ინდექსი (Environmental Performance Index) შედგენილია 22 პარამეტრის გამოკვლევის შედეგად, მათ შორის - წყლის და ჰაერის ხარისხი, გარემოს გაყვანა ადამიანის ჯანმრთელობაზე, სატყეო ფონდი, სხვადასხვა მავნე ნივთიერებების ბუნებაში ემისია და ა.შ.

ალნიშნული რეიტინგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ეკოლოგია დღეისთვის მსოფლიოს მასშ-

ტაბით ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საითხია. ალსანიშნავია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში არსებული გარემოს პროგრამის თანახმად, მწვანე ეკონომიკა ადამიანების კეთილდღეობისა და სოციალური თანასწორობის მთავარი შედეგია, როდესაც მნიშვნელოვნად მცირდება გარემორისკები და ეკოლოგიური დანაკლისები. მწვანე ეკონომიკა არის ეკონომიკური განვითარების ის მოდელი, რომელიც დამყარებულია მდგრად განვითარებასა და ეკოლოგიური ეკონომიკის ცოდნაზე. ის ეკონომიკის სხვა დარგებისგან იმით განსხვავდება, რომ პირდაპირ აფასებს ქვეყნის ბუნებრივ კაპიტალს, რომელსაც აქვს ეკონომიკური ღირებულება. მწვანე ეკონომიკა ქმნის მწვანე სამუშაო ადგილებს, უზრუნველყოფს რეალურ, მდგრად ეკონომიკურ განვითარებას და ამცირებს გარემოს დაბინძურებას, გლობალურ დათბობას, გარემოს

დეგრადაციას და აფერხებს რესურსების გამოლევის საშიშროებას. მწვანე ეკონომიკა სტიმულს აძლევს და მოტივაციას უქმნის ბიზნესს, აწარმოებს მწვანე პროდუქტი და მომსახურება. ჯერ კიდევ 2010 წელს ბრეტონვუდის სისტემის მთავარმა ინსტიტუტებმა, მსოფლიო ბანკმა და სავალუტო ფონდმა დიდი დაინტერესება გამოხატეს მსოფლიო ბიომრავალფეროვნების შეფასების მიმართ, რაც მის აქტიურ დაფინანსებას გულისხმობს.

მწვანე ეკონომიკა სახელმწიფო და კერძო სექტორს ერთმანეთისგან არ მიჯნავს. იგი ცდილობს, მოძებნოს ეკონომიკური გადაწყვეტილების პოზიტიური ალტერნატივა. მწვანე ეკონომიკის მთავარი რეგულატორია არა სახელმწიფო ან კერძო ბიზნესი, არამედ საზოგადოება, რომელიც ირჩევს და თავად მართავს მას.

# "სიებით სჯიან დასრულდა"

პირველი ავარიისა

სიების კომისიის ვებგვერდზე ([sia.gov.ge](http://sia.gov.ge)) მიმდინარე კვირის ბოლოს ამომრჩეველთა ერთიანი სია დაიდება, რომელიც "კარდაკარის" შედეგებისა და სახელმწიფო უწყებების მონაცემების შეჯერებით შედგება. კომისიის მოთხოვნით, პირველი ავარიისთან ერთად თვის განმავლობაში სიებში ჩასწორებების განხორციელება შესაძლებელი იქნება მოქალაქეების მიმართვიანობის საფუძველზე. თუკი ამომრჩეველი ერთიანი სიაში საკუთარ თავს ვერ იპოვის, მან ამის შესახებ ინფორმაცია კომისიას უნდა მიანიშნოს. ამასთან, მხოლოდ სიების დაზუსტების კომისიასთან შეთანხმებით შევა ერთიანი სიაში ბუნებრივი ჩასწორებები - გარდაცვალება, თავისუფლების აღკვეთა, საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება ან ჩამორთმევა და ა.შ. 15 სექტემბრისთვის ამომრჩეველთა ერთიანი სია დაიხურება და მასში შესწორებები ვეღარ განხორციელდება.

ამომრჩეველთა ერთიანი სია ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დღეს გადაეზღვრა. ცესკო-ს თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი პირობას დებს, რომ არჩევნების დღეს რეგისტრაციის მთავარი საფაზის სწორედ ეს მონაცემები იქნება. კომისიის ინფორმაციით, "კარდაკარის" შედეგად 3 მილიონ 483 ათას 142 ამომრჩეველი გადამოწმდა. აქედან: 2 მილიონ 160 ათას 608 მოქალაქის მონაცემი ზუსტი აღმოჩნდა. დაზუსტებები შევიდა 39 ათას 426 პირად მონაცემში. სიაში სულ 72 ამომრჩეველი გამოტოვებული, 291 ათას 471 - საზღვარგარეთ იმყოფება, ხოლო 25 ათას 949 - გარდაცვლილია. კომისიის თავმჯდომარე მამუკა კაციტაძე ამბობს, რომ ამომრჩევლის გამოტოვების გამო შევსებული განცხადებების რაოდენობა 65 ათასამდე იყო. თუმცა "კარდაკარის" რეგისტრაციებმა მონაცემები გადაამოწმეს და აღმოჩნდა, რომ უმეტესობა მათგანი იმ მისამართზე არ არის რეგისტრირებული, სადაც ამჟამად ცხოვრობს. ეს მოქალა-

ქეები სიაში არიან და მათ ხმის მიცემის უფლებაც აქვთ. შესაბამისად, მხოლოდ 72 მოქალაქე იყო ისეთი, რომელიც ცხოვრობს იმ მისამართზე, სადაც რეგისტრირებულია, თუმცა ამომრჩეველთა სიაში არ არის.

ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისიის გარდა, სიების გადამოწმებას ცდილობდნენ "ამომრჩეველთა ლიგისა" და "ქართული ოცნების" წევრები. მამუკა კაციტაძის თქმით, ამ ორგანიზაციების შექმნით, საკუთარი კვლევის შედეგები კომისიისთვის მიეწოდებინათ და ეს უზუსტობები ერთიანი სიაში აისახებოდა.

**"ვერც ერთი გამოკითხვა სახელმწიფო კომისიის საქმიანობის ალტერნატიული ვერ იქნება. ეს იყო დამოუკიდებელი მცდელობები, რაც თავისთავად კარგია, მაგრამ დღემდე მათი მხრიდან არანაირი ინფორმირება და უზუსტობების წარმოდგენა არ მომხდარა,"** - ამბობს სიების დაზუსტების კომისიის თავმჯდომარე მამუკა კაციტაძე.

სიების დაზუსტების კომისიის მუშაობას წარმატებულად აფასებს ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი ლუის ნავარო. მისი თქმით, კომისიის შექმნა "საარჩევნო კოდექსზე" მომუშავე ჯგუფების ერთობლივი შედეგია. ნავარო მიიჩნევს, რომ კომისია გააუმჯობესებს ამომრჩეველთა ერთიანი სიას. გარდა ამისა, NDI-ს ხელმძღვანელის თქმით, ყოველთვის წარმატებულია ხელისუფლებისა და ოპოზიციის თანამშრომლობა.

**"თუ გავითვალისწინებთ სამართლიანი არჩევნებისა" და NDI-ს კვლევის შედეგს, რომელმაც სიების გადამოწმების კომისიისადმი გამოკითხულთა დადებითი დამოკიდებულება გამოავლინა, შემიძლია ვთქვა, რომ ამომრჩეველთა სიები ნამდვილად უკეთესი იქნება,** - განაცხადა ლუის ნავარომ. შეგახსენებთ, რომ NDI-ის ბოლო კვლევების მიხედვით, სახელმწიფო კომისიის საქმიანობას დადებითად აფასებს გამოკითხულთა 86 პროცენტი. კომისიის მუშაობით კმაყოფილია პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეც. იგი დადებითად აფასებს სიების კომისიის მუშაობას და აღნიშნავს, რომ პროექტი "კარდაკარი" ერთხელ და სამუდამოდ უსვამს წერტილს ნებისმიერ სპეკულაციას იმაზე, თუ რამდენად ზუსტია სიები საქართველოში. ბაქრაძის თქმით, სიების დაზუსტება წინ გადადგმული ნაბიჯია ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების უკეთეს ორგანიზებაში. მიუხედავად პირველადი შედეგების წარდგენისა, კომისიას მუშაობა ჯერ არ დაუსრულებია. დღეიდან პირველ სექტემბრამდე მოქალაქეებს შეუძლიათ, სიაში საკუთარი თავი გადაამოწმონ და ხარვეზების შესახებ კომისიას აცნობონ. დავით ბაქრაძე მოუწოდებს კომისიას, ყველა დაინტერესებულ პოლიტიკურ პარტიასთან და არასამთავრობო ორგანიზაციასთან იმუშაოს.

**"საარჩევნო სიაში ნებისმიერი შესწორება უნდა აისახოს დღეის მდგომარეობით. ის სამუშაო, რომელიც შესრულებულია, იძლევა იმედს, რომ არჩევნებისთვის სიები ზუსტი იქნება. საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ისე ჩატარდება, რომ არც ერთ ობიექტურ პირს სიების შესახებ კითხვები და პრეტენზიები არ გაუჩნდება,** - განაცხადა დავით ბაქრაძემ.

**"ახალი მემარჯვენეების"** ლიდერი დავით გამყრელიძე ამბობს, რომ მისი პარტია ორმაგად იყო დაინტერესებული სახელმწიფო კომისიის მუშაობით. გამყრელიძის თქმით, ერთი მხრივ, დაზუსტებული სიები ყოველთვის არჩევნების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, ხოლო, მეორე მხრივ, სიების დაზუსტების კომისიის შექმნა, ნაწილობრივ, "მემარჯვენეების" დამსახურებაა.

**"თავის დროზე, "ახალი მემარჯვენეები ვიყავით ის პოლიტიკური გუნდი, რომელიც შეუთანხმდა ხელისუფლებას სიების დაზუსტებაზე. შედეგი სახეზეა. დღეს სამასი ათასი უცხოეთში გასული ადამიანი აღწერილია, ასევე 26 ათასი გარდაცვლილია ამოღებული, რაც მეტყვე-**

**ლებს იმაზე, რომ კომისიამ წარმატებით იმუშავა,** - განაცხადა დავით გამყრელიძემ.

გამყრელიძე, კომისიის პარალელურად, სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ "კარდაკარს" აფასებს. მისი თქმით, კომისიისადმი უნდობლობა და ალტერნატიული "კარდაკარის" ჩატარება, უბრალოდ, პოლიტიკური პოზაა. ოპოზიციონერი პოლიტიკოსის შეფასებით, უნდობლად განწყობილ ოპოზიციურ პარტიებს სიებზე პასუხისმგებლობის აღება არ სურთ.

**"ახალი მემარჯვენეების"** გარდა, სიების დაზუსტების კომისიის შექმნაში მონაწილეობდნენ "ქრისტიან-დემოკრატებიც". კომისიაში მათი წარმომადგენლებიც იყვნენ. პარტიის ერთ-ერთი ლიდერის ლევან ვეფხვაძის თქმით, სიების დაზუსტების კომისიის მუშაობამ ბევრ სკეპტიკოსს იმედი გაუცრუა. კომისიის რეგისტრატორები თითოეულ ოჯახში მივიდნენ და სიები ისე გადაამოწმეს. ვეფხვაძის თქმით, ის მონაცემებმა, რომლებიც "კარდაკარის" შედეგად დაიდო, აჩვენა, რომ ძველ სიაში სამი მილიონი ამომრჩევლიდან ზუსტი მხოლოდ ორ მილიონამდე იყო. ამას გარდა, სიაში 26 ათასი მკვდარი სული იყო შეტანილი.

**"ეს არჩევნები ახალი სიებით ჩატარდება და იქნება გაცილებით უკეთესი, ვიდრე ადრე. იმ პარტიებმა და ორგანიზაციებმა, რომლებმაც პარალელური "კარდაკარი" დაიწყეს, თავი სასაცილო მდგომარეობაში ჩაიგდეს. ივანიშვილს ფული გამოართვეს და "კარდაკარი", უბრალოდ, უნდობლად, ამ ფულის ხარჯვა გაემართლებინათ,** - შენიშნა ვეფხვაძემ. მისივე განცხადებით, თუ ამ ორგანიზაციებს სიების გადამოწმება სურდათ, "კარდაკარი" იმ მონაცემების გამოქვეყნების შემდეგ უნდა დაენწყოთ, რომელიც სიების კომისიამ შეავრთავს.

## ვანო მერაბიშვილი რუსთაველი მცხოვრებ ოჯახს ესტუმრა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი რუსთაველი მცხოვრებ მუხრანშიელების ოჯახს ესტუმრა. პრემიერის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, ვანო მერაბიშვილი ოჯახის წევრებს თავად გააცნო 1000-ლარიანი ვაუჩერის გამოყენების წესი, რომელიც ახალი სამთავრობო, 4-წლიანი პროგრამის - "მეტი სარგებელი ხალხს" ფარგლებში 2013 წლის 1-ლი იანვრიდან თითოეულ ოჯახს გადაეცემა.

ვანო მერაბიშვილის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო პენსიას ზრდის, ქმნის მოქალაქეების დასაქმების წინაპირობებსა და უფრო ხელმისაწვდომს ხდის ჯანდაცვას, არავინ იცის კონკრეტული ოჯახის პრობლემები და საჭიროებები იმაზე უკეთ, ვიდრე თავად ამ ოჯახმა და ოჯახის წევრებმა.

1000-ლარიანი ვაუჩერის პროგრამა, რომელსაც მთავრობა პარლამენტს ოქტომბერში წარუდგენს, 2013 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედდება. ვაუჩერი ძალაში იქნება 4 წლის განმავლობაში და ოჯახებს საშუალება ექნებათ, წლიურად 250 ლარის ოდენობის თანხა მოიხმარონ.

## სწავლება "დიდგორი 2012" დასრულდა

ეროვნულ სასწავლო ცენტრ "კრწანისში" სამეთაურო-სამტაბო სწავლება "დიდგორი 2012" დასრულდა. თავდაცვის სამინისტროს ცნობით, დახურვის ცერემონიას საქართველოს თავდაცვის მინისტრი დიმიტრი შამუნი და გაერთიანებული შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი დევი ჭანკოტაძე დაესწრნენ. სამინისტროსა და გაერთიანებული შტაბის პირველმა პირებმა სწავლების მონაწილეებს ტრენინგის წარმატებით გავლის სერტიფიკატები გადასცეს.

"დიდგორი 2012" ამერიკელი პარტნიორების დახმარებით ჩატარდა. სწავლების მიზანი სამეთაურო რგოლის მართვის უნარების დახვეწა იყო. სწავლების მონაწილე სამხედრო მოსამსახურეები პირობითი სცენარის მიხედვით მოქმედებდნენ და ოპერატიულად ასრულებდნენ დაკისრებულ დავალებებს. წვრთნაზე გამოყენებული იყო რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებული სპეციალური სიმულატორები. 3T-ს კონცეფციიდან გამომდინარე, სამეთაურო-სამტაბო სწავლებებს მნიშვნელოვანი როლი აქვთ შეიარაღებული ძალების განვითარებაში," - ნათქვამია სამინისტროს ინფორმაციაში.

## პირველკლასელთათვის დამატებითი ონლაინ რეგისტრაცია ცხადდება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პირველკლასელთათვის დამატებით ონლაინ რეგისტრაციას აცხადებს. განათლების სამინისტროს ინფორმაციით, ვინც 2 აპრილიდან 17 ივნისამდე ბავშვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დარეგისტრირება ვერ შეძლო, 1-დან 17 აგვისტოს ჩათვლით შესაძლებლობა აქვთ, რეგისტრაცია გაიარონ სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე [www.mes.gov.ge](http://www.mes.gov.ge).

მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენა მშობლებს 20-დან 30 აგვისტოს ჩათვლით სკოლებში შეეძლება.

## განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა და სახალხო დამცველმა მემორანდუმი გააფორმეს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა შოთა ნიჟარაძემ და საქართველოს სახალხო დამცველმა გიორგი ტულუშმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

მემორანდუმის გაფორმება მიზნად ისახავს სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭოს მიერ ეროვნულ უმცირესობათა ენებზე ნათარგმნი გრიფინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების რედაქტირებასა და დახვეწას, რაც, ხელმომწერთა თქმით, მათ სამოქალაქო ინტეგრაციას შეუწყობს ხელს.

საბჭო ასევე მოამზადებს რეკომენდაციებსა და წინადადებებს ეროვნულ უმცირესობათა ენებზე ნათარგმნი გრიფინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების საგნობრივი რედაქტირების შესახებ.

ორივე მხარემ გამოთქვა მზადყოფნა, მემორანდუმის ფარგლებში აწარმოონ დიალოგი, განიხილონ რეკომენდაციები და წინადადებები და მიიღონ ერთობლივი გადაწყვეტილებები, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს საქართველოს ყველა სრულფასოვან რეალიზაციას საგანმანათლებლო პროცესებში.

# მაჭავარიანი "ქართულ ოცნებას" დაკლარაციასთან მიართაბისკან მოუწოდებს

დათო გაიხსონია

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" გენერალურმა მდივანმა მიხეილ მაჭავარიანმა გუშინ პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე კოალიცია "ქართულ ოცნებას" პოლიტიკური პარტიების ერთობლივი დეკლარაციასთან მიერთებისკენ მოუწოდა. როგორც მაჭავარიანი ამბობს, ამ დეკლარაციას, "ქართული ოცნების" გარდა, ძირითადი პოლიტიკური პარტიები შეუერთდნენ.

მაჭავარიანის თქმით, ყველანაირი დარღვევის, ძალადობის, ამომრჩევლის მოსყიდვის და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების

გარეშე თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება, საქართველოში დემოკრატიის კონსოლიდაციისათვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ამიტომ, როგორც მაჭავარიანი აღნიშნავს, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" დიდ ყურადღებას აქცევს ქვეყნის იმ ნესებზე, რომელთა შემუშავებაც საარჩევნო კამპანიის დროს უნდა ხდებოდეს.

მიხეილ მაჭავარიანმა მედიას "ნაციონალური მოძრაობის" მიერ მომზადებული ვიდეორგოლი წარუდგინა, რომელიც ტელეარხებზე ფასიანი პოლიტიკური რეკლამის სახით გავს.

**"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ წარმოდ-**

**გნილი რეკლამით, კიდევ ერთხელ ვთხოვთ და მოვუწოდებთ "ქართულ ოცნებას", შემოუერთდეს ერთობლივ დეკლარაციაში ჩამოყალიბებულ პრინციპებს ყოველგვარი წინაპირობების, შესწორებებისა და დამატებების გარეშე. სხვა შემთხვევაში, ჩნდება ლეგიტიმური მოსაზრება, რომ "ქართულ ოცნებას" არ სურს, მონაწილეობა მიიღოს კონკურენტუნარიან და სამართლიან არჩევნებში, რომელიც აღიარებული იქნება საარჩევნო ადმინისტრაციისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მხრიდან,"** - ამბობს მიხეილ მაჭავარიანი.

რაც შეეხება საარჩევნო კამპანიის ჩატარებისას ამა

თუ იმ პოლიტიკური სუბიექტისთვის ხელშეშლის ფაქტებს, როგორც მაჭავარიანი აღნიშნავს, მათზე რეაგირებისთვის უწყებათაშორისი კომისია ფუნქციონირებს.

**"სხვებისგან განსხვავებით, იმ რეკომენდაციებს ვასრულებთ, რომლებიც უწყებათაშორისმა კომისიამ წარმოადგინა. სხვა საქმეა ის კრიმინალური შემთხვევები, რომლებსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო იძიებს, მაგრამ თუ ასეთ ქმედებებში "ნაციონალური მოძრაობა" შემჩნეული და მას კომისია განიხილავს, პარტია მყისიერ რეაგირებას მოახდენს,"** - აცხადებს მიხეილ მაჭავარიანი.

### "ამერიკა ავლანეთში მილიონებს ფანტაზს"

ამერიკის კონგრესში წარადგინეს სპეციალური მოხსენება, რომელშიც ნათქვამია, რომ ავლანეთის აღდგენის პროგრამის ფარგლებში ამერიკელ გადასახადის გადახედულთა ასობით მილიონი დოლარი არაფრეცტურად იხარჯება. საქმე ეხება იმ 400 მილიონი დოლარის დიდ ნაწილს, რომლის ინვესტირებაც ამერიკამ 2011 წელს ავლანეთის ინფრასტრუქტურაში მოახდინა.

ავლანეთის რეკონსტრუქციის პროექტის სპეციალურმა ინსპექტორმა ჯონ სოპომ არადაამაკმაყოფილებელი უწინადადებებია პროგრამის დაგეგმვასა და კოორდინაციას, ასევე ამ პროგრამის ცხოვრებაში განხორციელებას. მოხსენებაში საუბარია, რომ მშენებლების რამდენიმე პროექტი სერიოზულად ჩამორჩება გრაფიკს და, ნაწილობრივ, ვერ მოხერხდება ამერიკის ჯარების მიერ ავლანეთის დატოვების პერიოდისთვის. ამერიკა ჯარების გამოყვანას ქვეყნიდან 2014 წლის ბოლოსთვის გეგმავს. მოხსენების შემდგომეტი მიიჩნევენ, რომ ჯერ კიდევ არსებობს სიტუაციის გამოსწორების შესაძლებლობა. მოხსენების ავტორები რეკომენდაციას იძლევიან, ძალიან მკაცრად ადვენონ თვალყური, თუ როგორ იხარჯება დიდი რაოდენობის თანხები.

### იაპონია ჩინეთიდან და ჩრდილოეთ კორეიდან მომავალ საფრთხეებზე საუბრობს

იაპონიამ ჩინეთის სამხედრო როლის ზრდა პოტენციურ რისკად შეაფასა, ხოლო ჩრდილოეთ კორეას ახალი ლიდერის მმართველობის დროს რეგიონის სერიოზული საფრთხე უწინადა. ყოველწლიურ მოხსენებაში, რომელიც თავდაცვის საკითხებს ეძღვნება, იაპონიამ ჩინეთის არმიისა და "კომუნისტური პარტიის" ურთიერთობაზე გაამახვილა ყურადღება, რაც შეფუთვას იწვევს.

ამ მოხსენებას კი წინ უძღოდა ჩინეთის დაზვერვისა და სხვა მაღალჩინოსნების განცხადებები, რომლებიც საკუთარი სახელმწიფოს ხელისუფლებას მოუწოდებენ, რეგიონული ტერიტორიული დავების მიმართ მკაცრი პოზიცია დაიკავოს.

იაპონიამ, ისევე როგორც ერთ წლის წინ, ახლაც ჩინეთის სამხედრო პოტენციის ზრდაზე გაამახვილა ყურადღება. ეს განსაკუთრებით საზღვაო სფეროს ეხება. დოკუმენტში იაპონია ამერიკასთან აუცილებელ კავშირზეც საუბრობს.

მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთ კორეის ლიდერი შეიცვალა, ეს იაპონიის პირველი დოკუმენტია თავდაცვის საკითხებზე, სადაც ჩრდილოეთ კორეიდან მომავალი საფრთხეების ზრდაზეა საუბარი. "კომუნისტური პარტიის" ურთიერთობაზე ამხსნელიც ყურადღებას. ჩრდილოეთ კორეა აქტიურად მუშაობს მასობრივი განადგურების იარაღსა და ბალისტიკური რაკეტების შექმნაზე. მსგავსი ნაბიჯები კი კორეის ნახევარკუნძულზე დაძაბულობას ზრდის და აღმოსავლეთ აზიის უსაფრთხოებაში დესტაბილიზაციის შემომტანია," - ნათქვამია მოხსენებაში.

### უგო ჩავესი ბრაზილიას ეწვია

ვენესუელას პრეზიდენტი უგო ჩავესი ერთწლიანი პაუზის შემდეგ ბრაზილიას ეწვია. ცნობისათვის - დაახლოებით, ერთი წლის წინ პრეზიდენტს სიმონების დიაგნოზი დაუსვეს. ბრაზილიაში ჩავესი რეგიონულ სამიტში მიიღებს მონაწილეობას. პრეზიდენტის თქმით, ის ახლა ჯანმრთელია და ოქტომბერში საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობასაც აპირებს. როგორც აღნიშნავენ, ბოლო პერიოდში ჩავესი ხშირად ჩნდება საჯაროდ. შაბათს 58-ე დაბადების დღე კარაკასთან ახლოს აღნიშნა, სადაც იმღერა და იცეკვა კიდევ.

### რომნი წინასაარჩევნო ტურნეს პოლონეთით ასრულებს

როგორც დაგეგმილი იყო, ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატი მიტ რომნი დიდი ბრიტანეთისა და ისრაელის შემდეგ პოლონეთს ეწვია. პოლონეთში რომნი უკვე შეხვდა ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტ ლეხ ვალენსას.

მანამდე, ისრაელში ყოფნისას პალესტინის ეკონომიკის შესახებ გაკეთებულმა განცხადებებმა პალესტინის ოფიციალური პირების აღშფოთება გამოიწვია. რომნის თქმით, ისრაელის ეკონომიკის სიდიდე პალესტინასთან შედარებით კულტურული განსხვავებულობით არის განპირობებული. მთავარმა პალესტინელმა მომლაპარაკებელმა საუბრე ერეკატმა რომნის განცხადებას რასისტული უწოდა. რომნის წარმომადგენელმა კი მოგვიანებით განაცხადა, რომ რომნის შეფასება არასწორად აღიქვას.

თუმცა, ამ ტურნეს ფარგლებში ეს რომნის პირველი "სკანდალური" განცხადება არ ყოფილა. ლონდონში ყოფნისას მან ეჭვი გამოთქვა იმის შესახებ, თუ რამდენად მზად იყო ლონდონი 2012 წლის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის.

### პოლიციამ დელიში მომხარ ტერაქტში ექვმიტანილები დაადგინა

დელის პოლიცია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თებერვალში დელიში ისრაელის საელჩოს ავტომანქანის დანაღმის ფაქტის უკან ირანის ელიტური სამხედრო ქვედანაყოფი იდგა. აღნიშნულის შესახებ "The Times of India" წერს. დადგინდა, რომ ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის წევრები ისრაელის დიპლომატებზე თავდასხმას ინდოელ ყურნალისტთან განხილავდნენ. ეს ირანელ ფიზიკოსზე თავდასხმის შემდეგ მოხდა, რაც, ირანის განცხადებით, ისრაელმა განახორციელა. ყურნალისტს ამ ადამიანებთან ათწლიანი ურთიერთობა ჰქონდა, იგი მარტში დააპატიმრეს.

პოლიციის ინფორმაციით, ტერაქტში გარეუღლია ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის ხუთი წევრი: ჰუმან აფშარ ირანი, სეფდატზად მასუდი, საიდ ალი მაჰდიანსადრი, მოჰამედ რეზა აბოლგასემი და ალი აკბარ ნორუზიშაიანი. გამოცემის თანახმად, დელის, ბანაკის ტერაქტებისა და თბილისში ჩავარდნილი ტერაქტის უკან სეფდატზად მასუდი დგას, რომელიც მალაიზიაში თებერვალში დააკავეს.

*მომზადდა თამთა კახაძემ*

# რუსეთი დნესტრისპირეთს მოლდავეთისკენ უზიძებებს?

### პირველი გზარკობა

ის მიეძღვნა სამშვიდობო ოპერაციის დაწყების 20 წლისთავს. ფორუმზე სიტყვით გამოვიდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი, რომელმაც განაცხადა, რომ კიშინიოვის და ტირასპოლის მრავალწლიანი კონფლიქტი უნდა გადაწყდეს დნესტრისპირეთის მოლდავეთში შესვლით განსაკუთრებული რეგიონის სტატუსით. მოულოდნელად ამ გეგმით განხორციელების შემთხვევაში რუსეთს თავისი პირობებიც აქვს, რომლებიც არც ისე ადვილი განსახორციელებელია უკვე მოლდავეთისთვის. ეს არის მოლდავეთის ნეიტრალიტეტის მყარ გარანტიები, რაც უშუალოდ გულისხმობს ნატო-ში შესვლაზე უარის თქმას. ამას გარდა, დაცული უნდა იყოს რუსების უფლებები და რუსული უნდა იყოს მეორე სახელმწიფო ენა. ოღონდ არ არის დაზუსტებული, ამის გავრცელებას რუსები მოელის მოლდავეთის ტერიტორიაზე ითხოვენ თუ მხოლოდ დნესტრისპირეთის "განსაკუთრებულ რეგიონში".

დნესტრისპირეთის არალიბერული რესპუბლიკის პრეზიდენტ ვეგენი შეეჩუქთან ერთობლივი პრესკონფერენციის დროს კარასინმა თავისი აზრი უფრო გარკვევით ჩამოყალიბა. კითხვაზე - შეიძლება თუ არა რუსეთმა აღიაროს დნესტრისპირეთის დამოუკიდებლობა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ განაცხადა: "ჩვენი დნესტრისპირეთის მომავალს ვეზი დავთ ნეიტრალური მოლდავეთის სახელმწიფოს ფარგლებში, განსაკუთრებული რეგიონის უფლებით და საერთაშორისოდ აღიარებული გარანტიებით".

ამ ყველაფრის თქმა ადვილია, განხორციელება კი აქამდე არ არის. ამ ეტაპისთვის არც ოფიციალური კომინიოვი და არც ტირასპოლი მზად არ არიან სტატუსის შესახებ სერიოზულ დიალოგისთვის. ევგენი შეეჩუქმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ "მოლდავეთთან ფე-



დერაციის შექმნაზე მოლაპარაკებების დაწყება ჯერჯერობით ნაადრევია".

დნესტრისპირეთი დიდი ხანია სთავაზობს თავის ტერიტორიას რუსეთს სამხედრო ბაზის განსა-თავებლად. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ტირასპოლის სურს, რუსული სამშვიდობო კონტინგენტი სამხედრო ბაზად გადაკეთდეს და მისი ნაწილი იქცეს ყოფილი მე-14 არმიის აეროდრომიც. საპასუხოდ დნესტრისპირეთის რუსეთისგან ფინანსური დახმარების მიღების მიზეზად აქვს. დღეს სამშვიდობო მისის შემადგენლობაში არიან: 402 სამხედრო მოსამსახურე რუსეთიდან, 492 - დნესტრისპირეთიდან, 355 - მოლდავეთიდან. აგრეთვე 10 სამხედრო დამკვირვებელი უკრაინიდან. ბაზის იდეა შეეჩუქმა კარასინთან მოლაპარაკებების დროსაც განიხილა და მანამდეც რუსეთის ვიცე-პრემიერ დმიტრი როგოზინთან შეხვედრისას. თუმცა მას გარკვევით მიანიშნებს, რომ რუსეთი დნესტრისპირეთში ასეთი ფორმის ტყვეები დაინტერესებული არ არის.

# "სარეზინ ტბას ვერ ააფეთქებან"

### სლობო ჯანაჯილი

"უკვე სამი დღეა, რაც მთიანი ბადაზმანის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრში ხორავა ანტიმთავრობო შეიარაღებული დაჯგუფების წევრებმა იარაღის ჩაბარება დაიწყეს. გუშინ საღამოსთვის სამართალდამცველებს უკვე ჩაბარდა 200-ზე მეტი ცეცხლსასროლი იარაღი. შინაგან საქმეთა მინისტრის პრესცენტრის ხელმძღვანელ მაჰმადულასადულოვიც განაცხადებით, ჩაბარებული არსენალს შორის არის: კალაშნიკოვის სისტემის რამდენიმე ათეული ავტომატი, ტყვიამრეცხველები, ხელყუმბარები, ყუმბარსატყორცნები საარტილერიო ჭურვები, სხვადასხვა კალიბრის ტყვიები, სამხედრო-სამედიცინო კომპლექტები და სხვა. მათ შორის არის ერთი საზენიტო კომპლექსიც.

როგორც "24 საათის" მკითხველისთვის უკვე ცნობილია, მთიან ბადაზმანში იარაღის ჩაბარების პროცესი 29 ივლისს დაიწყო - მას შემდეგ, რაც 24 ივლისს ტაჯიკეთის ხელიფურსულამ სპეცოპერაცია ჩატარა მთიან ბადაზმანში, გენერალ აბდულლო ნაზაროვის მკვლელობის დასაპატიმრებლად. რამდენიმე დღის მთავარი რაკეტების შემდეგ ტაჯიკეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ პირობა დადო, რომ იმ პირებს, რომლებიც იარაღს თავიანთი ნებით ჩააბარებდნენ და გენერალ აბდულლო ნაზაროვის მკვლელებს ხელისუფლებას გადასცემდნენ, ამისთვის შეეზობოდათ და ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლებდნენ.

ხელისუფლებამ უკვე ოფიციალურად გააკეთა განცხადება და გენერალის მკვლელობაში ბრალი დასდო ოთხ ყოფილ საველე მეთაურს. ესენი არიან ტოლიბეკ აბდუკაივი, ედგორ მაჰმადალასოვი, მამადლიკორ მამადლიკოროვი და იმონაზან იმონაზაროვი, რომელთაც, გენერალის მკვლელობის გარდა, ბრალი ედებათ სხვა მძიმე დანაშაულებშიც, მათ შორის რასი ყჩალობა, ნარკოტიკების კონტრაბანდა, იარაღის უკანონო შენახვა და უკანონო შეიარაღებული დაჯგუფუ-



ბის შექმნა. არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი დანაშაულები არ დაუკავებიათ.

მთიან ბადაზმანში სპეცოპერაციის დასრულებიდან რამდენიმე დღეში გავრცელდა ინფორმაცია სარეზინ კამპალზე შესაძლო აფეთქების შესახებ, რომელიც განთავსებულია მთიანი ბადაზმანის ავტონომიური ოლქში, ზღვის დონიდან 2000 მეტრზე. პირველად ეს ინფორმაცია www.pamir-vestiri.ru-ზე გავრცელდა, სადაც ამტკიცებდნენ, რომ შეიარაღებული დაჯგუფების წევრებს ორი მინქინით კამპალზე ასაფეთქებლები აქონდათ. ტაჯიკეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ აგრეთვე შესაძლებელია ინფორმაციის საიტის შესახებ, რომელზეც ბევრი არაფერია ცნობილი და პრობაა დებს, რომ დააპატიმრებს ამ სტატუსის ავტორს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს «ბოროტი ხუმრობა აღმოჩნდება».

სარეზინ ტბას მცენიერები ცენტრალური აზიის «მძინარე დრაკონს» უწოდებ-

ენ. ის გაჩნდა 1913 წელს, როდესაც ძლიერმა მიწისძვრამ რელიეფი შეცვალა. სპეციალისტების აზრით, მისი ბუნებრივი კამპლის განვრცობის შემთხვევაში დაიჭირება ტაჯიკეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, ავღანეთის და თურქმენეთის გარკვეული ტერიტორიები და დაზარალებულნი არანაკლებ 5 მილიონი ადამიანი.

ტაჯიკი აკადემიკოსის საბიტ ნეგლატულაევის თქმით, ნაკლებ საფრთხილია, რომ კამპალს აფეთქება ელოდეს. მისი განცხადებით, სარეზინ არ ადის საავტომობილო გზა. იმისთვის, რომ კამპალზე მიადლო, 18 კილომეტრი როულ გზაზე უნდა იარო. ეს საერთოდ შეუძლებელია საპატიმარი სახედრებით, რომლებიც დატვირთული იქნებიან მძიმე ასაფეთქებელი მონოპოლიტებით, რადგან მათი გაველისას გრუნტი ჩამოიშლება. "ასაფეთქებლის დამონტაჟება კამპალზე, რომელიც 500 მეტრზეა გადაჭიმული, კიდევ

რომ სამშვიდობო მისია დნესტრზე ყველაზე წარმატებულია მთელ ევროპაში, რადგან 20 წელია, შეიარაღებული დაპირისპირების შეწყვეტის შემდეგ იქ არაფერი მომხდარა. შესაბამისად, სჭირო არ არის მისი ფორმატის შეცვლა. ანუ ის ფაქტი, რომ მოლდაველები და დნესტრისპირელები აგრესიულები არ არიან და ერთმანეთს არ ესვრიან, რუსეთმა საკუთარ წარმატებად გაასაღა.

ნატო-ში განვერიანების და, მით უმეტეს, რუმინეთის ნაწილად ქვეყნის წინააღმდეგია თვით მოლდავეთის მოსახლეობის და პოლიტიკური ელიტის დიდი ნაწილიც. ამ ქვეყანაში რეფერენდუმი რომ ჩატარდეს მსგავსი კითხვით, თან თუ წმის მიცემა დნესტრის მარცხენა ნაპირზეც გაიმართება, პასუხი ალბათ უარყოფითი იქნება, ყოველ შემთხვევაში უახლოეს წლებში. მაგრამ საერთაშორისო გრძელვადიანი გარანტიების გაცემა ქვეყნის მომავალ პოლიტიკურ კურსზე, დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის მთლად მიზანშეწონილი ალბათ არ არის. რაც შეეხება რუსულ ენას. მეორე სახელმწიფო ენად რუსულის შემოღებას რუსეთი არაპირდაპირ მოითხოვს პოსტსაბჭოთა სივრცის ლამის ყველა სახელმწიფოში, სადაც კი ამის რაიმე საფუძველი არსებობს. მაგალითისთვის მარტო უკრაინის და ლატვიის დასახლებულ კმარა, ეს თემა კარგად არის ცნობილი "24 საათის" მკითხველისთვის. მოლდავეთშიც მრავლად არიან რუსულენოვანი და ეთნიკურად რუსი მოქალაქეები. შესაბამისად, თუ მეორე სახელმწიფო ენად რუსულის შემოღებას რუსეთმა მთელ მოლდავეთში მოინდომა, ესეც დაპირისპირების დამატებითი საფუძველი გახდება. მიუხედავად ამისა, რუსეთის ასეთი პოზიცია მაინც საყურადღებოა და, სულ მცირე, დეტალურ განხილვას იმსახურებს.

თვალსაზრისი

# ცოტა რამ კინოს მოედნის პროექტსა და ქართულ კინემატოგრაფიაზე

პირველი გვარდიან

იმისთვის, რომ ამ ამბის არსში გავრკვეულიყავი, საქართველოს ეროვნულ კინოცენტრში დავრეკე და ამ საქმეში კომპეტენტურ ქ-ნ ნანას დამაკავშირეს, რომელმაც გარკვეული ვერაფერი მითხრა იმის თაობაზე, თუ ვის ეკუთვნოდა იმ ადგილისათვის კინოს მოედნის სახელის დარქმევის იდეა. ეგ იყო სთქვა, რომ იქ კინორეჟისორ სერგო ფარაჯანოვის ძეგლი იდგა, ცოტა მოშორებით კი, მსახიობ სოფიკო ჭიაურელისა და ეს არგუმენტად მიიჩნია იმისათვის, რომ დასახელებულ ადგილას კინოს მოედანი გაეხსნათ. შემდეგ "მეიდან ჯგუფის" წარმომადგენელთან ბ-ნ ბესოსთან გადაამისამართა, რომლისგანაც გავიგე, რომ ზემოხსენებული იდეა "მეიდან ჯგუფის" დამფუძნებლების, ბატონების ზაზა ნიშნიანიძისა და ლაშა ქავნიშვილისა ყოფილა. რა მიზანიც არ უნდა ჰქონოდა მათ ჩანაფიქრს, მაღლობს ვუხდი მათ კინოკულტურისადმი ამ ფორმით გამოვლენილი ზრუნვისათვის.

შემდგომი ინფორმაცია ქალაქ თბილისის საკრებულოდან მოვიდა. ჩემი განცხადების პასუხად, საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის ბ-ნ ლაშა იმედაშვილის წერილი მივიღე, რომლიდანაც ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ საკრებულოსათვის მიუმართავს "მეიდან ჯგუფის" დირექტორს ბ-ნ ი.ხუნდაძეს შუამდგომლობით, რომელშიც ითხოვს "ბამბის და რკინის რიგების კვეთაზე მდებარე უსახელო მოედანს ენოდოს ქართული კინოს ან კინოს მოედნის სახელი". ეს თხოვნა დაუკმაყოფილებია ქ.თბილისის საკრებულოს 2012 წლის 24 თებერლის დადგენილებით (N7), რის შესახებაც მემცნო პირველ წერილს დართული დადგენილების ტექსტით, რომელსაც ბ-ნ ზაალ სამადაშვილი აწერს ხელს.

ამ ოპერატიულად მიღებული გადაწყვეტილებისათვის, რომელშიც კინოსადმი გამოვლენილი თანაგომის დადასტურებაა, მაღლობს მეტი არაფერი მეტქმის საკრებულოს ხელმძღვანელობისა და წევრებისადმი.

რაც შეეხება კინოს მიედანს, ამის თაობაზე ვიტყვი, რომ ეს, უპირველეს ყოვლისა, კინემატოგრაფისტების გადასაწყვეტია: კინოცხოვრებას საქართველოში 116 წლის ისტორია აქვს, ქართული კინო 104 წლისაა, თავისი ტრადიციები და მნიშვნელოვანი თარიღები გააჩნია. ქართულ კინოზე ფედერაციო ფელის უთქვამს: "ქართული კინო უჩვეულო ფენომენია, სპეციალური ფილოსოფიური ნათება, რთული და, ამავე დროს, ბავშვურად წმინდა და უმანკო, მასში ყველაფერია, რაც მე მატირებს და მინდა გითხრა, რომ ეს (ჩემი ატირება) არც ისე ადვილია". ეს სიტყვები, გენიალური კინემატოგრაფისტის მიერ თქმული, ჩვენი კინოხელოვნების უდიდესი შეფასებაა და ეს მხოლოდ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ქართველ კინემატოგრაფისტებს გვაქვს იმის უფლება, თავად გადაწყვიტოთ, რომელ მოედანს დაერქვას კინოს სახელი და რა სიმბოლური მნიშვნელობა მიენიჭოს ამ არჩევანს.

ჩემი აზრით, და ბევრი კინემატოგრაფისტი ამავე შეხედულებისაა, რომ კინოს მოედანი უნდა დაერქვას ძველი კინოსტუდიის გვერდით, თამარ მეფისა და დავით აღმაშენებლის გამზირების გადაკვეთაზე მდებარე მოედანს. იმიტომ, რომ ძველი კინოსტუდიის ტერიტორიაზე, ჯერ კიდევ 1919 წელს მდებარეობდა ბელგიელი კინომენარმის პირონეს ფირმის კინოსტუდია, 1920 წელს კი, საქართვე-



კინემატოგრაფისტთა კავშირის შენობა

ლოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ეს კინოსტუდია პირონესაგან შეისყიდა და აქ დააფუძნა განათლების სამინისტროს კინოსექციის კინოსტუდია, რომელსაც სათავეში პირველი ქართველი პროდიუსერი, ეროვნული კინონარმოების ფუძემდებელი გერმანე გოგიტიძე ედგა. 1923 წლიდან აქ ფუნქციონირებდა სააქციო საზოგადოება საქართველოს სახკინმრეწვი, 1938 წლიდან - თბილისის კინოსტუდია, ხოლო 1953 წლიდან კი - კინოსტუდია "ქართული ფილმი", 1977 წელს აქ დაფუძნდა სასწავლო კინოსტუდია და იმავე წელს აქვე დაიდო ბინა კინოსახიობთა თეატრმა. ძველი კინოსტუდია მაშინაც ინარჩუნებდა მნიშვნელოვან პოზიციებს, როცა გაიხსნა ე.წ. ახალი, ანუ დილმის კინოსტუდია, რადგან აქ იყო განლაგებული ქრონიკალური და სამეცნიერო ფილმების სტუდია, მულტიპლიკაციური ფილმების გაერთიანება, კინოლაბორატორია, მსოფლიოში ერთ-ერთი უდი-

დესი კინოპავილიონი და ა.შ. დაიხ, ამ ტერიტორიაზე შეიქმნა ძალიან დიდი ნაწილი ქართული ფილმებისა. როგორც ნახეთ, ეს არის აკვნი ჩვენი კინოხელოვნებისა და, ბუნებრივია, კინოს მოედანიც მის გვერდით უნდა იყოს. მოსაფიქრებელია, მოედნის ცენტრში, კინოსადმი მიძღვნილი, როგორი მონუმენტი აღიმართოს, ხოლო ძველი კინოსტუდიის ტერიტორიაზე უნდა დაიდგას მსოფლიო და ქართული კინოს მოღვაწეთა ძეგლები. სიტყვამ მოიტანა და, თავის დროზე, სერგო ფარაჯანოვის ძეგლიც ძველი კინოსტუდიის ეზოში უნდა დაედგათ და არა ბამბისა და რკინის რიგების მახლობლად, რადგან ის არც ბამბის მქენტავი და არც მქედელი არ ყოფილა, კინორეჟისორი იყო და მისი ძეგლის იქ დადგმა მეტიჩრობაა და მეტი არაფერი. ქანდაკებები, ბიუსტები, ბარელიეფი და გორელიეფი სხვაც ბევრი უნდა დაიდგას, რადგან ამას ქართველი



ბამბის რიგი

კინემატოგრაფისტები ნამდვილად იმსახურებენ, მაგრამ მთავარია, ახალი ცხოვრება შთაბეროთ ძველ კინოსტუდიას. თანამედროვე კინოგადაღების ტექნიკა იმის საშუალებას იძლევა, რომ ძველი კინოსტუდია კინონარმოების მთავარ ცენტრად ვაქციოთ საქართველოში. ამას გარდა, იქ უნდა აღდგეს სასწავლო კინოსტუდია, შეიქმნას კინომუზეუმი და ეროვნული სინემატიკა, უნდა გაიხსნას რამდენიმე პროფილირებული კინოთეატრი... სამწუხაროდ, ახლა ხმა გაზრცელდა ძველი კინოსტუდიის ტერიტორიის გასხვისებას აპირებენო. არ ვიცი ვის რა განზრახვა აქვს ამის თაობაზე, მაგრამ ამას კინემატოგრაფისტები არ დაუშვებთ. ჩვენ ისიც გვეყოფა, კინოს ერთ-ერთმა "მამამ" რომ მოგვატყუა ძველი კინოსტუდიის დიდი კულტურული მნიშვნელობის მქონე "კინოქალაქად" გადაქცევის ლოზუნგით. სინამდვილეში კი ის მოხდა, რომ დიდი პავილიონი გასხვისდა და ახლა ის და-

საბრუნებელი გვაქვს... კინემატოგრაფისტები მრავალი გამოწვევის წინაშე ვდგავართ და როგორც კინოს მოედნის ამბავმა ნათელსყო, ჩვენი აზრი ჩვენივე სფეროს საკითხებზე უგულვებელყოფილია.

ვფიქრობ, ის, პირველ რიგში, ეროვნულ კინოცენტრს უნდა დაეცვა და კინემატოგრაფისტებისათვის ეცნობებინა "მეიდან ჯგუფის" ინიციატივის შესახებ.

იმის გასარკვევად, რამდენად აცნობიერებს ეროვნული კინოცენტრი ამ ამოცანას, მეორედ შევეხმიანე ქ-ნ ნანას ტელეფონით. სამწუხაროდ, ამ ქალბატონისაგან ვერაფერი გავიგე, მოედნის თემასთან დაკავშირებით რა სახის ურთიერთობა ჰქონდათ კერძო ფირმა "მეიდან ჯგუფსა" და სახელმწიფო კინოინსტიტუციას - ეროვნულ კინოცენტრს. ჩემს კითხვაზე - წერილი თუ მიიღეთ "მეიდან ჯგუფისაგან" და რას ითხოვდნენ-თქო? ამის შესახებ ქ-ნ-მა ნანამ მიპასუხა - წერილი თუ იყო არ ვიცი, ხათუნას ვკითხავო... ჩემს დაჟინებულ კითხვაზე - მოედნისათვის კინოს სახელის დარქმევის საქმეში კინოცენტრს რა როლი უნდა ეთამაშა-თქო? მიპასუხა - ჩვენ "ივენტი" უნდა მოგვეწყო. ე.ი. ღონისძიების მოწყობას აპირებდით - მეტქი, დავასკვენი. ღონისძიება საბჭოთა გადმონაშთიო.....

შემჩნეული მაქვს, კინოცენტრის თანამშრომლებს უჭირთ კინემატოგრაფისტებთან ურთიერთობა, მიუთმეტეს, თუ ეს უკანასკნელნი ინიციატივას იჩენენ. ასე მაგალითად: ორიოდე წლის წინ "ქართული კინოს საორგანიზაციო და შემოქმედებითი რეფორმების საინიციატივო ჯგუფმა" რეფორმების პროექტი და რამდენიმე წინადადება მიანოდა კინოცენტრს, მაგრამ ცენტრსა და საინიციატივო ჯგუფს შორის საქმიანი დიალოგი ვერ გაიმართა...

ასე, რომ არამგონია, ეროვნული კინოცენტრი კინემატოგრაფისტთა ინტერესების დამცველად გამოდგეს. ამიტომ ვურჩევ, იმ საკითხებთან დაკავშირებით, კინემატოგრაფისტთა გადასაწყვეტი რომ არის, უკითხავად "ივენთის" მოწყობას ნუ განიზრახვენ და კინოს "მამების" როლს ნუ ითამაშებენ, რადგან, როგორც ჩვენს შემთხვევაში, სასურველია, ქართული კინო "მამით" ობოლი იყოს!..



pe-bet.com

# "ლონდონი 2012"-ს წარმოებიდან

## ერთი ზეცდომის ფასი

პირველი გვარდიანა

მერვედფინალში მის წინაშე ამერიკელი სტევენსი წარდგა. სტევენსი გრანდების კატეგორიას არ განეკუთვნება და ავთანდილს ეს ბარიერი უნდა დაეძლია, მაგრამ ამერიკელი კერკეტი კაკალი აღმოჩნდა. ბრძოლა უკიდურესად დაძაბული გამოდგა. გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი დრო გახდა საჭირო. აქ ქართველმა ძიუდოსტმა გადაწყვიტა გაერისკა, შეტევაზე გადავიდა და თავის ილეთზე წამოეგო. სტევენსმა წმინდა გამარჯვება იხეიმა. რაკი ავთანდილმა ვერ მოახერხა მეოთხედფინალში გასვლა, ასპარეზობას გამოეთიშა.

ძიუდოს პერიპეტებზე გვესაუბრება ოლიმპიურ თამაშებზე "24 საათის" ექსპერტი, საქართველოს ძიუდოსტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწე გიორგი ვაზაგაშვილი.

- გუშინაც ვთქვი, ძიუდო ერთი შეცდომის სახეობაა. ავთანდილი ფსიქოლოგიურადაც და ფიზიკურადაც კარგად იყო მომზადებული. ლონდონში წამოსვლამდე ბევრი შეკრება გავიარეთ. ჭრიკიშვილს კარგი შედეგები ჰქონდა. ბორჯომშიც დასკვნითი შეკრება ჩინებულად წარმართა, მაგრამ ერთი შეცდომა დაუშვა და შედეგიც სახეზეა.

- ეს ამერიკელიც კერკეტი კაკალი გამოდგა...

- გეთანხმებით, ძალიან მობილიზებული და ფიზიკურად ძლიერი ათლეტია. არც დალა ეტყობოდა და კარგად იცავდა თავს. ავთანდილს მიჰყავდა ბრძოლა. თითქოს პრობლემა არ უნდა შექმნიოდა, მაგრამ დამატებით დროში ფსიქოლოგიურ ზეწოლას ვეღარ გაუძლო. თავის ილეთზე არასწორად ჩაღდა



ფეხი და იპონით წააგო.

- 81 კგ. წონითი კატეგორია დიდი ხანია ჩვენთვის პრობლემურია.

- კი, მაგრამ ამჯერად ჭრიკიშვილი კარგად იყო მომზადებული. ვფიქრობ, ავთანდილმა, უბრალოდ, ვერ გამოავლინა თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი.

- ფაქტია, ჭრიკიშვილმა ვერ მოუძებნა მეტოქეს გასაღები, რითიც გამარჯვებას შეძლებდა. იქნებ ამ ბრძოლისთვის სათანადო ტაქტიკა ვერ შეირჩა?

- ჩვენ ყოველ საღამოს განვიხილავთ ხოლმე სავარაუდო მეტოქეებს. რეიტინგის ყველა მონიშნავ კარგად გვყავს შესწავლილი და მათ სათანადო ტაქტიკით ვუპირისპირდებით, მაგრამ სტევენსი არ განეკუთვნება მსოფლიოში მონიშნავთა რიცხვს და მასზე სრული ინფორმაცია ვერ გვექნებოდა. თუმცა, არც იმის თქმა შეიძლება, რომ ავთანდილმა არასწორად იჭიდავა. ის აკონტროლებდა ბრძოლას, მაგრამ გადაწყვეტი უპირატესობა ვერ მოიპოვა.

- სამწუხაროდ, მედალს ყველა ვერ მოიგებს. ძიუდოს ნაკრებმა უკვე გააკეთა დიდი საქმე. საქართველოს ოლიმპიური ოქრო მოუტანა.

- თბილისიდან რომ მოვდიოდით, იმას ვანგარიშობდით, რომ გუნდი, როგორც ასეთი, მთლიანობაში კარგად გამოსულიყო. მიხარია, რომ ლაშა შავდათუაშვილმა გვასახელა, მაგრამ მედლის კანდიდატები სხვებიც გვყავდნენ და გვყავს. გული მწყდება შუკვანზე. მან უაღრესად დასანანი მარცხი განიცადა თითქმის მოგებულ შეხვედრაში. არადა, მედლის რეალური კანდიდატი იქნებოდა. ჭრიკიშვილიც შეძლებდა

მედლისთვის ბრძოლას, ის დასანანი შეცდომა რომ არ დაეშვა.

- ხვალ ბრძოლაში ჩაებმება ვარლამ ლიპარტელიანი, ჩვენი გუნდის ლიდერი.

- ვარლამი მართლაც კარგ ფორმაშია. ბრძოლის ფინიტაც გამოირჩევა და როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად კარგ მდგომარეობაშია. არც კენჭისყრა აქვს ცუდი.

- როგორც მახსოვს, მეოთხედფინალამდე გრანდს არ ხვდება.

- დიას, ასეა. სავარაუდოდ, მეოთხედფინალში შეხვდება კუბელ ფალავანს, რომელიც ძალიან ძლიერია ამ წონაში და თუ ამ ბარიერს დაძლევა, ნახევარფინალში, სავარაუდოდ, ჯარჯი ზვიადაურს გადაეყრება.

- კუბელი რით გამოირჩევა?

- ვარსკვლავებს არ წყვეტს, მაგრამ ფიზიკურად ძალიან ძლიერია, თან, ვარლამთან დადებითი ბალანსი აქვს. პარიზის ტურნირზე მსაჯებმა ძალიან დაგვიჩაგრეს ვარლამი, რამდენიმე გდება არ ჩაუთვალეს და გამარჯვება კუბელს დარჩა. ვნახოთ... დიდი იმედი მაქვს, რომ თუ ერთმანეთს შეხვდებიან, ვარლამი რეევანშს აიღებს.

- ჯარჯი?

- ჯარჯი ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონია და ამით ყველაფერია ნათქვამი. ძალიან ძლიერი ფალავანია, მაგრამ თუ ვარლამის და მისი გზები გადაიკვეთა, ეს ნახევარფინალში მოხდება. იქამდე კი ორივე უნდა მივიდეს.

## მეგობრისთვის რას არ ჩაიდენ

პირველი გვარდიანა

რაკი ჭრიკიშვილის გამოსვლის შემდეგ ძიუდოს დარბაზში ბევრი არაფერი გვესაქმებოდა, "ბასკეტბალ არენაზე" გადავინაცვლე. ეს არენა მართკუთხა ფორმისაა და თოვლივით ქათქათებს. რალაც თოვლის გროვას, ან მწყერის ბუდეს მოგვაგონებს. ჩემი მისვლისთვის რუსეთს ჩინეთი დაემარცხებინა (73:54), ხოლო ესპანეთს - ავსტრალია (82:70). ლიტვა კი ის-ის იყო ნიგერიასთან პირველი გამარჯვებისთვის ემზადებოდა და ლიტველებიც ტრადიციულად მღეროდნენ - "ჩვენ ლიტველები ვართ და ამ საღამოს გამარჯვებას ერთად აღვნიშნავთ". ლიტვამ მართლაც გაანადგურა ნიგერია (72:53).

ის იყო პრეს-ლოჟიდან ჩამოვედი, რომ იქვე, მოაჯირთან რუსეთის ნაკრების ლიდერი ტიმოფეი მოზგოვი იჯდა. უცებ ჩემი კოლეგა ზურაბ თალაკვაძე გამახსენდა. ის ხომ რუსეთის კალათბურთელთა ნაკრების ქომაგია და გადაწყვიტე, ეს ამბავი ტიმოფეი მოზგოვისთვის მეცნობებინა.

- გამარჯობა! მე კახა ფაჩუაშვილი ვარ, ქართველი ჟურნალისტი, თბილისიდან. ინტერვიუს აღებას არ ვცდილობ, უბრალოდ გამეხარდა თქვენი დანახვა და მეგობრული მოკითხვა მინდოდა გადმომეცა.

- მეგობრული მოკითხვა? ვის-



გან?

- ჩემი მეგობარი თქვენი ქომარია და კიდევ ანდრეი კირილენკოსი. ყველა დიდ ტურნირზე რუსეთის ნაკრებს ქომარობს და აქ რომ იყოს, ძალიან გაეხარდებოდა.

- მომიკითხეთ თქვენი მეგობარი. სასიამოვნოა, რომ თბილისშიც გვქომარობენ, არ ვიცოდი. ანდრეის აუცილებლად გადავცემ ამ ამბავს.

- ლიტვაში, ევროპის ჩემპიონატზე, რუსეთ-საქართველოს მატჩის შემდეგ, იმ დაძაბულ ატმოსფეროში, ყველაზე განონანსორებელი კომენტარები თქვენ და ანდრეი კირილენკოსს გქონდათ, ქართველებს ეს არ გვაინწყდება.

- მოხარული ვარ, რომ საქართველოში კალათბურთს ისევე ობიექტურად აფასებენ. შენ აქ როგორ მოხვ-

დი, კალათბურთს აშუქებ? თქვენი გუნდი ხომ არ მონაწილეობს?

- არა, უბრალოდ მიყვარს კალათბურთი და შანსს არ ვუშვებ, რომ არ ვნახო. შევდმა თქვა, კარგი გუნდი გვყავს, მედლებისთვის ვიბრძოლებო. შეძლებთ?

- აკი ინტერვიუს აღებას არ ვცდილობ?

- იცით, NBA-ში მეორე ქართვე-

ლი კალათბურთელი ითამაშებს, თორნიკე შენგელია. მან პროხოროვის გუნდთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

- მომილოცავს. თუკი პროხოროვმა მასთან კონტრაქტი გააფორმა, ესე იგი შენგელიამ ის დაიმსახურა.

- ვფიქრობ, ერთ მშვენიერ დღეს, როცა საქართველოს ნაკრებს შეხვდებით, მის დასამარცხებლად გვარიანი ოფლისღვრა მოგინებთ.

- (იცინის) ესე იგი ძველი კეთილი დრო დაბრუნდება, როცა თბილისის "დინამო" და ცსკა გამარჯვებისთვის ბევრ ოფლს ღვრიდნენ

- წარმატებას გისურვებთ.

- თქვენც. მოზგოვი წამოდგა და დარბაზი დატოვა. "ბასკეტბალ არენა" კი პირთამდე შეივსო. ბრიტანეთი ბრაზილიას ხვდება.

	I	II	III	სულ
1.ჩინეთი	10	6	3	19
2.აშშ	7	7	5	19
3.საფრანგეთი	4	1	4	9
4.ს.კორეა	3	2	2	7
5.ჩ.კორეა	3	0	1	4
6.ყაზახეთი	3	0	0	3
7.იტალია	2	4	2	8
8.გერმანია	2	3	1	6
9.რუსეთი	2	2	4	8
10.იაპონია	1	4	7	12
17.საქართველო	1	0	0	1

შედეგები 31 ივლისის 22:00 საათისთვის

# ოლიმპიადაზე გაზრდილი ვარსკვლავები

## ვასილ უფვაშვილი

ოლიმპიურ თამაშებზე საფეხბურთო ტურნირები განსაკუთრებულ ყურადღებას არასდროს იქცევდა. გასაკვირი არც არის - ფეხბურთელებს ხომ ოთხნაწილი უმნიშვნელოვანეს მოვლენად მსოფლიო ჩემპიონატი აქვთ. ოლიმპიურ თამაშებზე უფრო მნიშვნელოვან ტურნირად კი ევროპის პირველობაც ითვლება. მოკლედ, ოლიმპიური ფეხბურთი მეორე რიგის შეფასდება. ასე რომ, ცოცხალი ისეთი ფეხბურთელი, რომელიც სამყაროში ოლიმპიური თამაშებით გაიცნო, თუმცა, თუ ოლიმპიური ფეხბურთის ისტორიას გადავხედავთ, ვიპოვით არაერთ ვარსკვლავს, რომელმაც ოლიმპიურ თამაშებზე გაიბრწყინა და ამის შემდეგ გაიკეთა დიდი კარიერა. გთავაზობთ სწორედ ასეთი ფეხბურთელების პირველ ათეულს.



### გუნარ ნორდალი - 1948

გუნარ გრინი, გუნარ ნორდალი და ნილს ლინდჰოლმი. ამ სამეულს გრენო-ლის სახელითაც იცნობდნენ. 1948 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ისინი შეედეთის ნაკრების წარმატების სულისჩამდგმელები იყვნენ (შედეგმა მაშინ ოლიმპიური ოქრო მოიგეს).

ნორდალმა ტურნირი საუკეთესო ბომბარდირის ტიტულით დაასრულა. მან ორი გოლი გაიტანა ფინალშიც, რომელიც შედეგითა იუგოსლავიას ანგარიშით 3:1 მოიგო. ოლიმპიური თამაშების შემდეგ ის იტალიურმა "მილანმა" შეიძინა, ერთ წელიწადში კი მას ზემოხსენებული ტრიოს დანარჩენი ორი წევრიც შეუერთდა და შედეგმა "როსონერის" იტალიის ჩემპიონატიც მოაგებიან.

ნორდალს "მილანის" შემადგენლობაში გამართულ 291 მატჩში 225 გოლი აქვს გატანილი. აქედან 35 საჩემპიონო სეზონში გაიტანა.

### ჯო ჰანსენი - 1948

ნორდალთან ერთად ამ ოლიმპიადაზე გაიბრწყინა ჯო ჰანსენიც, რომლის წყალობითაც დანიის ნაკრები ბრინჯაოს მედლებს დაეფუტა.

ჰანსენის წყალობით დანიელებმა დაამარცხეს ინგლისის ნაკრები, რომელსაც იმხანად "მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდარული მწვრთნელი სერ მეტ ბასბი ხელმძღვანელობდა. ინგლისელებამდე კი დანიის ნაკრებმა იტალიასაც მოუგო. იმ თამაშის მთავარ გმირად ჰანსენი იქცა.

იტალიელებზე ჰანსენმა იმდენად

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ოლიმპიური თამაშების შემდეგ ის ტურინის "იუვენტუსმა" შეიძინა. "ბებერი ქალბატონის" შემადგენლობაში დანიელმა მეგობარმა 187 მატჩი გამართა და 124 გოლი გაიტანა.

### შანდორ კოჩიში - 1952

"არაჩვეულებრივმა მაგიატრებმა" 1953 წელს ინგლისი შოკში ჩააგდეს, ერთი წლით ადრე კი უნგრეთის ნაკრებმა პელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე ოქრო მოიგო.

22 წლის შანდორ კოჩიში იმ ოლიმპიადაზე ხუთ მატჩში 6 გოლი გაიტანა. უნგრეთის ნაკრებმა კი ოლიმპიადა 20 გოლით დაასრულა. რა თქმა უნდა, კოჩიში იმ გუნდის ერთადერთი ვარსკვლავი არ ჰყოფილა. იმ გუნდში ლეგენდარული ფერენც პუშკაციც თამაშობდა.

კოჩიში უნგრულ "ჰონვედში" გამართულ 145 მატჩში 153 გოლი გაიტანა. შემდეგ "ბარსელონაში" გადავიდა და კატალონიური კლუბის შემადგენლობაში ორჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი.

### ოლეგ ბლოხინი - 1972

ლეგენდარულ უკრაინელს სულ სამი წელი ჰქონდა გატარებული კიევის "დინამოში" და მოხვდა სსრკ-ის ოლიმპიურ ნაკრებში, რომელმაც მიუხეხის

ოლიმპიურ თამაშებზე ბრინჯაოს მედლები მოიგო. ოლიმპიადამდე ოლეგ ბლოხინი არც ისე სტაბილურ ფეხბურთს თამაშობდა. ოლიმპიურ თამაშებზე კი ხუთი გოლი გაიტანა. სამი წლის შემდეგ ოლეგ ბლოხინმა "ოქროს ბურთი" მოიგო.

ბლოხინი საბჭოური ფეხბურთის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად ითვლება. კიევის "დინამოს" შემადგენლობაში მას თითქმის ყველა ტიტული აქვს მოგებული. 1988 წელს 36 წლის ბლოხინი პირველი საბჭოთა ფეხბურთელი იყო, რომელსაც საზღვარგარეთ თამაშის უფლება მისცეს.

### ფალკო - 1972

1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ფალკო "სელესასო" ერთ-ერთი მთავარი ვარსკვლავი იყო. ამ მოვლენამდე თითქმის ათი წლით ადრე 18 წლს ფალკო ბრაზილიის ნაკრებთან ერთად მიუხეხის ოლიმპიურ თამაშებზე გაემგზავრა. მართალია, ბრაზილიის ნაკრებისთვის ის ოლიმპიადა კომპარული გამოდგა, მაგრამ ფალკო სწორედ ამ ტურნირზე გამოჩნდა.

### მიშელ პლატინი - 1976

მიშელ პლატინის დებიუტი "ნანსის" შემადგენლობაში 17 წლის ასაკში შედგა. ოთხი წლის შემდეგ ის მონრეალის ოლიმპიურ თამაშებზე ვიხილეთ.

საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში მან სამი გოლი გაიტანა და "სამფეროვანებმა" ჯგუფური ეტაპი მოიგეს, მაგრამ მერე დასავლეთ გერმანიის ნაკრებთან დამარცხდნენ. მიუხედავად ამისა, პლატინისთვის ეს ტურნირი დიდ ფეხბურთში ბილეთად იქცა. ოლიმპიური თამაშებიდან ოთხ წელიწადში ის უკვე მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავი იყო. 1983, 1984 და 1985 წლებში კი "ოქროს ბურთი" მოიგო.

### რომარიო - 1988

1988 წელს, სეულის ოლიმპიურ თამაშებზე, ბრაზილიის ნაკრებმა ვერცხლის მედლები მოიგო. "სელესასოს" შემადგენლობაში რომარიომ იმ ოლიმპიურ თამაშებზე ექვსი მატჩი გამართა და შვიდი გოლი გაიტანა. ოლიმპიადაზე რომარიოსთან ერთად ბუბტო და მაზინიოც თამაშობდნენ. ამ სამეულმა 1994 წელს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიგო. სეულში, ოლიმპიადის ფინალში კი, რომარიო და კომპანია სსრკ-ის ნაკრებთან დამარცხდა. რომარიოსთვის ის ოლიმპიური თამაშები ტრამპლინად იქცა. ოლიმპიადის დასრულებიდან არც ისე დიდ დროში რომარიო ჰოლანდიურ პსევ-ში აღმოჩნდა, იქიდან კი "ბარსელონაში" გადავიდა და იოჰან კრუიფის "დრემ თიმის" განუყოფელ ნაწილად იქცა. 2007 წელს რომარიომ კარიერის მე-1000 გოლი გაიტანა.

### კალუმა მბვალა - 1988

ბევრისთვის ეს სახელი არაფრის მოქმედი, თუმცა, იგი ზამბიის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად არის მიჩნეული. სეულის ოლიმპიურ თამაშებზე ზამბიის ნაკრების შემადგენლობაში 6 გოლი გაიტანა. სწორედ სეულში მიიპყრო მან ევროპული კლუბების ყურადღება. 1989 წელს ის "ბრიუგეში" გადავიდა, შემდეგ - პსევ-ში, სადაც რომარიოსთან ერთად თამაშობდა და ორჯერ გახდა ჰოლანდიის ჩემპიონი. 1996 წელს ფიფამ, წლის საუკეთესო ფეხბურთელთა დასახელებისას, ნომინანტთა სიაში შეიყვანა. საბოლოოდ მბვალამ მეთორმეტე ადგილი დაიკავა.

### სამუელ კუფური - 1992

სამუელ კუფური ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია, ვისაც ოლიმპიური მედალი აქვს მოგებული. 1992 წლის ოლიმპიურ თამაშებზე სემი კუფური სულ 15 წლის იყო. მიუხედავად ამისა, განის ნაკრებში მოხვდა და ოლიმპიადაზე მესამე ადგილი დაიკავა.

მესამე ადგილისთვის მატჩში განამ "ნოუ კამპზე" დაამარცხა ავსტრალიის ნაკრები. სემი კუფურისთვის "ნოუ კამპი" განსაკუთრებული სტადიონია. ოლიმპიური ბრინჯაოს მოგებიდან შვიდ წელიწადში კუფურმა მიუხეხის "ბაიერნთან" ერთად ჩემპიონთა ლიგის დრამატულ ფინალში "მანჩესტერ იუნაიტედთან" 1:2 დამთო შეხვედრა. იმ მატჩში მანკუნინაელებმა ორივე გოლი მსაჯის მიერ დამატებულ დროში გაიტანეს.

### ერნან კრესპო - 1996

არგენტინელები ოლიმპიურ თამაშებს ყოველთვის სერიოზულად უყურებდნენ და ოლიმპიურ ნაკრებში არაერთი მსოფლიო დონის ფეხბურთელი ჰყავდათ. ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე არგენტინამ ვერცხლის მედლები მოიგო. იმ ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ერნან კრესპო იყო. სწორედ ოლიმპიურ თამაშებზე გაიბრწყინა კრესპომ და ამის შემდეგ დაიწყო მისი ევროპული კარიერა. "პარმასთან" ერთად მან უეფას თასი მოიგო, შემდეგ "ლაციომ" კრესპოში 35 მილიონ გირვანქა გადაიხდა და ერნანი მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებულ ფეხბურთელად იქცა. "ლაციოში" დაწყებული ფინანსური კრიზისის გამო კრესპო 25 მილიონ გირვანქად "ინტერში" გაიყიდა. "ინტერიდან" კი "ჩელსიში" აღმოჩნდა.

# ზიდანის ლიცენზია

## ალექსანდრე ასათიანი

ზინედინ ზიდანმა ფეხბურთში ბევრი ეტიუდი დატოვა. ის ეტიუდები იშლებოდა, იმ ეტიუდებში ბურთი მერლინ მონრო იყო და ზიდანი ვუდი ალენის რომანტიკით თამაშობდა. ზიდანმა ფეხბურთის სიტბო დაუტოვა, მარკო მატერაცის მაფიოზურ შუბლში ქალაქურად დააჯახა და წავიდა. ზიდანი ამ გენერაციის ბილი ქიდი იყო. ფეხბურთის ბილი ქიდი. კარგი ბიჭი ბევრი ემოციით.

ზიდანმა მწვრთნელის ლიცენზია მიიღო. ეს ამბავი «ეკიპა» გაავრცელა. ზიდანი ფეხბურთის პროდიუსერი გახდა. ფეხბურთი უზიდანოდ წარმოუდგენელია. ჯაზი ელინგტონის გარეშე წარმოუდგენელია. ნიდერლანდები იერონიმ ბოსხის გარეშე წარმოუდგენელია. ზიდანს ფეხბურთის ლიცენზია ადრე, ეზოში, უბნის გარეშე მისცეს და ეს, მეორე ლიცენზია, ოფიციალური CV-ა. ზიდანი ფეხბურთის ოფიციალური ელჩია.

«რეალში» ზიდანმა რამდენიმე სოლო შეასრულა. თითები რიფზე ადიოდა და ზიდანის მუსიკა რჩებოდა,



«სანტიაგო ბერნაბეუზე» ექოს და მოგონებებს ფარავდა. ზიდანი ახალი CV-თ «რეალის» მეორე გუნდში გააკეთებს საქმეს. ძალიან უცნაური და უხეში უნდა იყო, მწვრთნელი ზიდანის ნებისმიერ რჩევას რომ ბრექობა დაინყო. ზიდანის რჩევა საფეხბურთო ოსკარი, ვუდსტოკის ყველაზე კოკერული ფრამენტია. ზიდანიც ვუდსტოკია.

ზინედინ ზიდანმა ფეხბურთის კარიერა ხუთი წლის წინ დახურა. მონეტრა ბალახზე თითების გადატარება, დანამული, მწვანე მეგობრის მოკითხვა და «რეალში» დაბრუნდა (2009). ზიდანი ლიცენზირებული გენიოსი გახდა.

ზიდანმა ფეხბურთის სიტბო დაუტოვა და იმ სიტბოში დასასვენებლად დაბრუნდა. მალე ჰამაკში ჩაგორდება და მომავალ ზიდანებს დააკვირდება. უფრო სწორად, ვინც იქნება, იმას დააკვირდება და კიდევ ერთ ეტიუდს დატოვებს.

ზიდანმა ლიცენზია მიიღო. ზიდანი ფეხბურთის ლიცენზია იყო.

### ესეზე ოლიმპიადას მეთექვსმეტედინაღმეტი გამოეთიშა

ლონდონის ოლიმპიური თამაშები კიდევ ერთი ქართველისთვის დასრულდა. მშვილდოსანთა ტურნირის მეთექვსმეტედინაღმეტი ქრისტინე ესეზე სამხრეთკორეულ სუნ-ჯინ ლისთან დამარცხდა.

კორეელმა სპორტსმენმა ქრისტინეს პირველი ორი სეტი მოუგო. მესამეში ქართველმა შეძლო გამარჯვება და დაპირისპირებას ინტრიგა დაუბრუნა. საკმაოდ საინტერესო და დრამატული გამოდგა მეოთხე სეტი. ქრისტინემ პირველი ათიანში გაარტყა, რასაც კორეელის ათიანი მოჰყვა, შემდეგ ესეზემ ისარი ცხრიანში გაუშვა და კორეელმაც იგივე გააკეთა. სამწუხაროდ, ქართველს მესამე გასროლა არ გამოუვიდა და მხოლოდ რვიანში გაარტყა. კორეელმა კი კვლავ ცხრიანში მოარტყა ისარი და მერვედინაღმეტიც გავიდა.

### ირაკლი ბოლქვაძემ ოლიმპიადის პირადი რეკორდით დაასრულა

ცურვაში, ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე, საქართველოს მხოლოდ ერთი წარმომადგენელი ჰყავდა. 200 მეტრზე ბრასით ცურვაში ახალგაზრდა ქართველი მოცურავე ირაკლი ბოლქვაძე გამოდიოდა.

ის, რომ ირაკლი ნახევარფინალში ვერ გავიდოდა იმთავითვე ცნობილი იყო. თუმცა ირაკლის ურიგოდ არ უაპარეზია, ქართველმა მოცურავემ პირადი რეკორდი დაამყარა და ოლიმპიური თამაშები 29-ე ადგილზე დაასრულა.

### ოლიმპიადის ტატიშვილიც დაემშვიდობა

ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობა ანა ტატიშვილმაც დაასრულა. ქართველი ჩოგბურთელი ოლიმპიური საჩოგბურთო ტურნირის მეორე წრეში რუს ნადია პეტროვას ხვდებოდა და ანგარიშით 3:6,7:6,2:6 დამარცხდა.

პირველი სეტი პეტროვამ ანგარიშით 6:3 მოიგო, მეორე სეტში ანამ მეტოქეს მედგარი ბრძოლა გაუმართა და ტატიშვილს სეტის მოგებაც კი შეძლო, თუმცა მესამე გადამწყვეტ სეტში გამოცდილმა რუსმა ჩოგბურთელმა უკეთ ითამაშა და საბოლოო ჯამში 6:2 იმარჯვა.

### "ლონდონი 2012"-ს წარმომადგენელი



### გიგა გურასაშვილი ლონდონიდან

ლონდონის რიტმს თუ არ აყვები, მაჩანჩალა იქნები. თუ ოლიმპიურ დედაქალაქში ფეხით გასეირნება ისურვე, ორი წყვილი სპორტული ფეხსაცმელი მაინც დაგჭირდება. თითქმის რვამილიონიანი ქალაქში გადაადგილების ყველანაირი საშუალება არსებობს, მაგრამ ყველაზე პრაქტიკული აქ მაინც ანდერგრაუნდია, გნებავთ, თიუბი, ჩვენებურად - მეტრო.

ოლიმპიურმა თამაშებმა მნიშვნელოვანი კვალი დაატოვა ლონდონის ქუჩებს. ისედაც დიდ ქალაქში ფუტკრებივით მოფუსფუსე ადგილობრივებს დანარჩენი სამყაროდან უამრავი ტურისტი დაემატა. ტურისტების ნაკლებობას არც აქამდე განიცდიდნენ ლონდონელები, მაგრამ ახლა განსაკუთრებული დღეებია. რიგით ტურისტს + ხუთრგოლიანი ტურისტი = ორჯერ მეტ ტურისტს. მაგრამ ლონდონი ყველას და ყველაფერს იტევს. ოლიმპიურ რკალს მიღმა თუ გადაუხვევ, შესაძლოა, ვერც მიხვდეთ, რომ აქ ოლიმპიურ თამაშებს მასპინძლობენ, ოლიმპიურ რკალში კი, ესე იგი, იქ, სადაც საასპარეზო არენებია, ოლიმპიური ციებ-ცხელება შეგიპყრობთ.

როგორი დაკავებულიც არ უნდა იყოთ, გამორიცხულია, ცნობისმოყვარეობამ სოპოსკენ არ გიბიძგოთ - იქ, სადაც ყველა ორიენტაციის ადამიანს შეხვ-

# ლონდონელ ტურისტს + ხუთრგოლიანი ტურისტი = ორჯერ მეტ ტურისტს



დებით. პატარა რაიონი გაჯერებულია რესტორნებითა თუ ბარებით, პაბებითა თუ ყავახანებით. და მაინც, სოპო ცნობილია ღამის კლუბებით, ბორდელებით. იქ მოხვედრილს, ნებისმიერ შემთხვევაში, გინევის პიკადილის - ქალაქის ეკონომიკური ცენტრის გავლა. თუ ცო-

ლა ქვევით დაეშვები, ბრიტანელთათვის საამაყო ტრაფალგარზეც ამოყოფ თავს. არ შეიძლება ები როუდზე გაუსვლელობაც. როკმუსიკის მოყვარულთა მექა მუსიკის მოყვარულებს ანდამატივით იზიდავს. სხვა რომ არაფერი, სწორედ აქ არის ქუჩის სახელ-

წოდების მქონე ხმისჩამწერი სტუდია, რომელშიც თავიანთ მუსიკას წერდნენ ლეგენდარული "ბითლზი", "პინკ ფლოიდი", "მანფრედ მენი". 1969 წელს ლივერპულელთა ოთხეულმა სწორედ აქ ჩაწერა ალბომი "ები როუდი" (Abbey Road).

## გამომცემლობა ინტელექტი

# ხანაწერები

### 20 წიგნი

გამოუქვეყნებელი დღიურები

ცნობილი ადამიანების უცნობი ავტობიოგრაფიული უტრისებები

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ



დაგვიკავშირდით: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. N5 ტელ: (+995 32) 2 25 05 22 (+995 32) 2 47 55 54 [intelekti@caucasus.net](mailto:intelekti@caucasus.net) [info@intelekti.ge](mailto:info@intelekti.ge) [www.intelekti.ge](http://www.intelekti.ge)